დ.მესტია	02.03.2018 წ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

GEORGIA. CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

საქართველო,

დ.მესტია. სეტის მოედანი #1

ტელ: (995) 99 85 55 40

ელ.ფოსტა: mestiasakrebulo@gmail.com

www.mestia-sakrebulo.ge

ბრძანება №16

მესტიის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მესტიის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად შეიქმნას მესტიის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) მაიზერ ჯაფარიძე — მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (საბჭოს თავმჯდომარე).

ბ) შორენა ცინდელიანი — მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე).

გ) მაია ხორგუანი – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

დ) როდამ გვარმიანი — მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

ე) ირმა ჯაჭვლიანი– მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პრესცენტრის განყოფილების უფროსი

ვ) ფირუზ ფილფანი – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

ზ) მანონი რატიანი -მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საოქმო განყოფილების უფროსი.

თ) თემურ ნაველრიანი – მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი.

ი) ქეთინო ხარძიანი – მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

კ) ლაშა ჯაფარიძე – მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების II რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ლ) ელენე განაია – მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი.

ნ) ავთო ჯაფარიძე– საქართველოს იურიდიული დახმარების მესტიის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი .

ო) ხატია წიკლაური -მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი გენდერულ საკითხებში. (საბჭოს მდივანი)

2. დაევალოს აღნიშნულ საბჭოს შეისწავლოს მესტიის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის დაცვის მდგომარეობა, შეიმუშავოს წინადადებები ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად

3. ბრძანება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 180–ე მუხლის პირველი ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის'' 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12**).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე